ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

ცირა შუბითიძე –კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი –შ.ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.07.2011

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 10.08.2011

საჩივრის რეგისტრაციის №059/11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ჯ. მ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ჯ. მ. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 11 ივნისს მოქალაქე შ. ა. მომართა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ჯ. მ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2010 წლის 3 ივნისს შეიძინა ორი ავტომობილი, რომელთა ღირებულება შეადგენდა 9 024 აშშ დოლარს, თუმცა აღნიშნული თანხა გამყიდველს გადასცა ხელზე. მოგვიანებით გამყიდველმა 2011 წლის 4 ივნისს მის წინააღმდეგ შეტანა განცხადება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, თითქოს მან არ გადაუხადა ავტომანქანების საფასური და მოითხოვა 14 000 აშშ დოლარის გადახდა. რუსთავის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება თაღლითობის მუხლით.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ ჯ. მ. 2010 წელს დახმარებისთვის მიმართა მისმა მეუღლემ, როდესაც თავად დაკავებული იყო და გადაუხადა მომსახურების საფასური 500 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდეს გირაო, სადაც მისი ადვოკატი არ გამოცხადდა.

1.5 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა აზერბაიჯანში და ადვოკატს მიანდო საქმის წარმოება.

1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 23 დეკემბერს ავტომანქანების გამყიდველმა მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით მის წინააღმდეგ და მოითხოვა 13 900 აშშ დოლარის დაკისრება.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული მისივე ადვოკატისაგან შეიტყო და ადვოკატისავე სურვილით 2011 წლის 23 მარტს ჯ. მ. გაუფორმა რწმუნებულება სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში მისი ინტერესების დაცვის მიზნით და მინდობილობის საფასურის სახით 100 აშშ დოლარი, ხოლო მომსახურებისათვის დამატებით 200 აშშ დოლარი გადაუხადა.

1.8 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა არ შეასრულა არც ხელშეკრულებით და არც მინდობილობით ნაკისრი ვალდებულებები.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა არ მიაწოდა ინფორმაცია მას მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. საჩივრის ავტორის

განმარტებით, ადვოკატმა არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. მისი უმოქმედობით არ იქნა დაცული საადვოკატო ხელშეკრულება № 3.1.12 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მას, როგორც ადვოკატს ევალებოდა დროულად და სწორად მიეწოდებინა ინფორმაცია კლიენტის ანუ მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ ეს გამოხატა იმაში, რომ მან არ აცნობა უწყების ჩაბარების შესახებ, რა მიზეზითაც გაშვებული იქნა გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, რამაც მას მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მის მიმართ სამოქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკისრა 13 900 აშშ დოლარის გადახდა. ადვოკატმა არც მას აცნობა პროცესის თარიღის თაობაზე და არც თვითონ გამოცხადდა სასამართლოში.

1.10 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ როგორც კლიენტი კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდაც დადგენილ ვადაში განახორციელა, მიუხედავად ამისა, არ მოხდა მისთვის სათანადო იურიდიული მომსახურების ჯეროვნად გაწევა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა არ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე რეაგირება არ მოახდინა იმასთან დაკავშირებით, რომ მას სთხოვდნენ იმაზე მეტი ოდენობის თანხის გადახდას, ვიდრე ეს ნასყიდობის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებით ორივე მანქანის საერთო ღირებულებას წარმოადგენდა 9 024 დოლარი და არა 14 000 (თოთხმეტი ათასი) დოლარი, რომელსაც მისგან ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოითხოვდნენ.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, რწმუნებულ ჯ. მ. ასევე არ უნდა დაეშვა აღნიშნული საქმის სისხლის სამართლის წარმოების წესით განხილვის შეწყვეტა, როდესაც სახეზე იყო სისხლის სამართლის წესით განსახილველი ფაქტების ერთობლიობა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის მარტო სისხლის სამართლის საქმის სპეციალისტი იყო, არ უნდა მიეღო რწმუნებულება სამოქალაქო საქმეზე, რომლისთვისაც ცალკე სძალავდა ფულს.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს უნდა გაესაჩივრებინა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება, რადგან საქმეში იყო დანაშაულის ნიშნები, არა მის, არამედ ავტომანქანების გამყიდველის წინააღმდეგ. იგი უფრო მეტს ითხოვდა ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

1.14 2011 წლის 27 ივლისს ეთიკის კომისიის სხდომაზე ვერ გამოცხადდა საჩივრის ავტორი საქართველოში არყოფნის გამო. მან ემაილის მეშვეობით სხდომის გადადების მოთხოვნით განცხადებით მომართა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას, თუმცა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა ჩათვალა რა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2011 წლის 27 ივლისს ადვოკატი ჯ. მ. გამოცხადდა ეთიკის კომისიის სააპელაციო კოლეგიის სხდომაზე და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრების კითხვებს, ხოლო 2011 წლის 2 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება.

2.2 ადვოკატი აღნიშნავს, რომ შ. ა. მეუღლემ 2010 წლის 7 ივნისს მიმართა დასახმარებლად სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ შ. ა. მიმართ 2010 წლის 4 ივნისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, წარედგინა ბრალდება და იმავდროულად აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლოს მიერ შერჩეული იქნა დაპატიმრება. ადვოკატის განმარტებით კლიენტმა ყველა საპროცესო მოქმედების დასრულების შემდეგ მიმართა მას დასახმარებლად.

2.4 ადვოკატის განმარტებით 2011 წლის 27 მაისს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება და დევნა შეწყდა.

2.5 ადვოკატი აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2.6 ადვოკატი განმარტებით შ. ა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ხშირად მიემგზავრებოდა აზერბაიჯანში და იქიდან ეკონტაქტებოდა.

2.7 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დევნისა და გამოძიების შეწყვეტის დადგენილების გამოტანამდე რამდენიმე თვით ადრე დაახლოებით 2011 წლის მარტში აზერბაიჯანიდან მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა შ. ა. და უთხრა, რომ ფოსტის მეშვეობით სასამართლოდან მიიღო ქართულ ენაზე შედგენილი სხვადასხვა დოკუმენტი.

2.8 ადვოკატი აღნიშნავს, რომ იფიქრა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დამთავრდა და საქმე განსახილველად გადაიგზავნა სასამართლოში. ის დაუკავშირდა გამომძიებელს, რომელმაც უპასუხა რომ საქმე ჯერჯერობით წინასწარ გამოძიებაში იმყოფებოდა. ადვოკატმა აღნიშნული აცნობა შ ა.

2.9 ადვოკატი აღნიშნავს, რომ შ. ა. მისწერა საკუთარი მაილის მისამართი და სთხოვა მიღებული საბუთების დასკანერება და მისთვის გამოგზავნა, რათა დროულად წაეკითხა ისინი და გაერკვია საქმის ვითარება.

2.10 ადვოკატის განმარტებით აღნიშნული საბუთები მაილის მეშვეობით 2011 წლის 16 მარტს მიიღო.

2.11 ადვოკატი აღნიშნავს, რომ საბუთების გაცნობის შემდეგ მიხვდა, რომ ეს იყო სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად წოდებული გამყიდველის სასარჩელო განცხადება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინება.

2.12 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ტელეფონის საშუალებით უთარგმნა და აუხსნა შ. ა. სარჩელის შინაარსი და აცნობა საქართველოს კანონმდებლობის ნორმები იმის შესახებ, რომ შესაგებლის წარდგენა უნდა მომხდარიყო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ასევე აცნობა შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

2.13 ადვოკატი აღნიშნავს, რომ განუმარტა შ. ა., რომ მას დადებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება სისხლის სამართლის საქმეზე და არ ევალებოდა სამოქალაქო სამართლის საქმეზე მისი ინტერესების დაცვა, ამისათვის საჭირო იქნებოდა ახალი ხელშეკრულების დადება.

2.14 ადვოკატის განმარტებით შ. ა. ჩამოვიდა საქართველოში, დაუკავშირდა ტელეფონზე და ჰკითხა თუ რომელ ნოტარიუსთან შეეძლო რწმუნებულების გაფორმება. ადვოკატმა ურჩია ნოტარიუსი. შ. ა. გააფორმა რწმუნებულება ადვოკატის დასწრების გარეშე და ადვოკატის არყოფნისას დატოვა იგი მის ოფისში ქ.ბოლნისში. ახალი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეზე მომსახურების გაწევის თაობაზე არ დაუდიათ.

2.15 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით ანაზღაურება არ მიუღია, თუმცა შ. ა. არ დატოვა დაცვის გარეშე. საკუთარი სახსრებით წავიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, შეიტანა იქ განცხადება და დაურთო რწმუნებულება.

2.16 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ შ. ა. სულ ჰპირდებოდა საქართველოში ჩამოსვლას და ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ უშედეგოდ.

2.17 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 26 აპრილს გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ მას გამოუგზავნა.

2.18 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 11 მაისს ფოსტის მეშვეობით სასამართლო გადაწყვეტილების საპასუხოდ გააგზავნა განცხადება იმის შესახებ, რომ შ. ა. მიერ არ შესრულდა ზეპირი ხელშეკრულების პირობები, რის გამოც მასთან შეწყდა სამართლებრივი ურთიერთობა და მოითხოვა ყველა სახის კორესპონდეცია გადაგზავნილი ყოფილიყო შ. ა. სახელზე.

2.19 ადვოკატის განმარტებით საჩივრის ავტორის განმარტებები და ბრალდებები არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან სარჩელი და თანდართული მასალები შ. ა. ჩაბარდა 2011 წლის 14 მარტს, შესაგებლის შეტანის ბოლო ვადა იყო 2011 წლის 21 მარტი, რწმუნებულება შ. ა. მის

სახელზე გააფორმა 2011 წლის 23 მარტს ანუ სასამართლოს მიერ შეპასუხების წარდგენის დროის გასვლის შემდეგ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ჯ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატს არა აქვს შეჩერებული წევრობა, ასევე იგი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 შ. ა. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 11 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის მარტის ჩათვლით. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ჯ. მ. მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ჯ. მ. არ აცნობა მას სასამართლოდან უწყების ჩაბარების შესახებ, არ გამოცხადდა პროცესზე, არ შეიტანა შესაგებელი, არ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არ გაასაჩივრა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება.

5.2 განსახილველ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ჯ. მ. მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილისა და მე–8 მუხლის მე–6 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

ა) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა”.

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილის მიხედვით ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

5.3 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მომსახურების განხორციელება სისხლის სამართლის საქმეზე. მოგვიანებით მხარეთა შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმად ადვოკატს საჩივრის ავტორის ინტერესები უნდა დაეცვა სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში. 2011 წლის 23 მარტს ამ მიზნით საჩივრის ავტორმა ადვოკატს გაუფორმა რწმუნებულება.

5.5 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ როგორც საჩივარზე თანდართული მტკიცებულებებიდან ხდება ცნობილი საჩივრის ავტორის წინააღმდეგ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა შ. ა. მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა სასამართლოდან მიიღო უწყება, რის შესახებაც არც თავის კლიენტს აცნობა და არც თავად გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რამაც ზიანი მიაყენა მას.

5.6 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას ადვოკატის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის გაშვების შესახებ. როგორც საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებიდან ხდება ცნობილი სარჩელი და თანდართული მასალები შ. ა. ჩაბარდა 2011 წლის 14 მარტს და შეპასუხების შემოტანის ბოლო ვადა იყო 2011 წლის 21 მარტი. საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად საპროცესო კოლეგიამ დაასკვნა, რომ საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის მინდობილობის გაფორმების დროისათვის შესაგებლის შეტანის ვადა გასული იყო. კერძოდ: საჩივრის ავტორმა ადვოკატს მინდობილობა გაუფორმა 2011 წლის 23 მარტს, ხოლო შესაგებლის შეტანის ბოლო ვადას წარმოადგენდა 2011 წლის 21 მარტი.

5.7 ეთიკის კომისიამ საქმეზე №095/10 დაადგინა, რომ ,,ადვოკატს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მისი და კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტისათვის ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გასულია“.

5.8 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა შესაგებლის წარუდგენლობის გამო, ვინაიდან შ. ა. და ჯ. მ. შორის მინდობილობის გაფორმების დროისათვის შესაგებლის შეტანის საპროცესო ვადა გასული იყო.

5.9 ეთიკის კომისია ასევე ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას ადვოკატის უმოქმედობის თაობაზე, კერძოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობის შესახებ, ვინაიდან დაუსწრებლი გადაწყვეტილების ადვოკატისათვის ჩაბარების დროისათვის საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო საჩივრის ავტორის მიერ საადვოკატო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო და ადვოკატს არ ევალებოდა მისი გასაჩივრება. აღნიშნულის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებისას ადვოკატმა წერილობით აცნობა სასამართლოს და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების შ. ა. გადაგზავნა.

5.10 ეთიკის კომისიას განმცხადებლის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატს უნდა გაესაჩივრებინა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება მნიშვნელოვნად მიაჩნია განმარტოს, რომ მის უფლებამოსილებაში არ შედის შეაფასოს ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული დაცვის მეთოდები ან საშუალებები, ამასთან საჩივრიდან არ ჩანს, რომ აღნიშნული საპროცესო მოქმედების განხორციელება მოითხოვა კლიენტმა და ადვოკატმა იგი მისი ნების მიუხედავად არ შეასრულა.

5.11 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (დისციპლინური საქმე 074/10 პარაგრაფი 5.8) დაადგინა: ,,ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება შეაფასოს ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და დაცვის პროცესში გამოყენებული მეთოდები ან საშუალებები“.

5.12 საპროცესო კოლეგია დაყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას (განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten) ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისთვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობას ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის საკითხს“.

5.13 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ჯ. მ. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონისა და ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის” ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ ჯ. მ. მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე-მუხლითა და 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე, 28-ე, 30-ე და 31-ე მუხლების საფუძველზე

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შ. ა. 11.07.11 წლის საჩივარი №059/11 არ დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ჯ. მ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი: /არჩილ კბილაშვილი/

კოლეგიის წევრი: /გიგა კვერენჩხილაძე/